პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 აგვისტო კვირა 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 175 (15085)

1 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოში არამრთი სახელოვანი რკინიგზელი შრომობს. მათ შორის არის „სპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი მემანქანე-ინსტრუქტორი პავლე არმელაძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ კონტროლი სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ფულადი სახსრების შენახვისადმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფულადი სახსრების დატაცების ფაქტების საგითხი. აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არაერთგზის გაფრთხილებიათ პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანეო ორგანოების ხელმძღვანელები, რომ მტკიცე ზომები მიეღოთ სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო სახსრების შენახვის უზრუნველსაყოფად, ზოგიერთ მათგანს სათანადო დასკვნები არ გამოუტანია. თაფიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი ცალკეულ ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი, დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად ამ ბოლო დროს მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში იყო ფულადი სახსრების დატაცების შემთხვევები.

მაგალითად, მიმდინარე წლის 19 ივლისს ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის უ. კუპრაშვილის, მთავარი ბუღალტრის გ. ფინჩიძისა და მოლარის ი. კუპრაშვილის დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად მოიპარეს 44.040 მანეთი. ანალოგიური ფაქტი მოხდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც აქ საბჭოთა მეურნეობის დირექტორის კ. ჯორბენაძის, ბუღალტერ შ. მიმინოშვილის დაუდეგრობის გამო მოიპარეს 21.541 მანეთი. რაც განკუთვნილი იყო მუშებისათვის ხელფასის მისაცემად.

ფულადი სახსრების დატაცების შემთხვევები იყო თბილისის კიროვის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, ფოთის № 1 მექანიზაციის სამართველოსა და ზოგიერთ სხვა დაწესებულებაში.

აღნიშნული ფაქტები შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ სახბანკის დაწესებულებათა, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა, მილიციისა და პროკურატურის მუშაკები სათანადო კონტროლს არ უწევენ ფულადი სახსრების შენახვის წესების დაცვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დანაშაულებრივად გულგრილი დამოკიდებულებისათვის სკკპ რიგებიდან გარიცხა ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. კუპრაშვილი, ხოლო ღრმაღელის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. ჯორბენაძე, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა საალიბიცხო ბარათში შეტანით, თანამდებობიდან მოხსნა.

საყვედური გამოეცხადა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. გიორგიბიანს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. ებრალიძეს; მიეთითათ საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მდივანს ზ. გოცირიძეს და საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანს დ. სიბაშვილს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა და დიდების მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ორ თვეში შეამოწმონ მათდამი დაქვემდებარებულ ყველა ორგანიზაციაში ფულადი სახსრებისა და ფასეულობათა შენახვის საიმედოობა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას წინადადება მიეცა გაზარდოს თავის დაწესებულებათა მუშაკების პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების შენახვის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო სახსრების შენახვის მდგომარეობისადმი. უზრუნველყონ დატაცების ყველა ფაქტის დროული და ხარისხიანი გამოძიება, დასახონ და განახორციელონ პროფილაქტიკური ღონისძიებანი სახელმწიფო სახსრების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად; საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ პირდაპირი სატელეფონო კავშირით და სიგნალიზაციით უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი, შენახვილი სალაროები, ფოსტის განყოფილებანი, დიდ საწარმოთა და ორგანიზაციათა სალაროები შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებთან დასაკავშირებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააფრთხილა საწარმოთა და დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო სახსრების შენახვის უზრუნველყოფისათვის. მათ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ყველა იმ თანამდებობის პირისა და თანამშრომლის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რომლებიც ახორციელებენ სალაროს ოპერაციებს, გასცემენ და იცავენ ფულად სახსრებს, არ დაუშვან სახბანკის სალაროებიდან ფულის მიღება შესაბამისი თანმხლებისა და ტრანსპორტის გარეშე, თანამშრომლებს ხელფასი უნდა დაერიგონ სახბანკის სალაროებიდან მისი მიღების დღეს, ხოლო ფულადი სახსრების ზნიშვნელოვანი ნაშთის შექმნის შემთხვევაში, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ მათი დატაცების შესაძლებლობას.

საქართველოს კომპარტიის „საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ მომხოვნელობა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისადმი, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ფულადი სახსრების შენახვა, გაზარდონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის, პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დაუდევრობას იჩენენ, ურიგდებიან სახელმწიფო ფულადი სახსრების შენახვის წესების დარღვევებს.

• • •

სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და გადაწყვიტა უ. კუპრაშვილი მოხსნას თანამდებობიდან. (საქდესი).

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჟაბნაძემ.

მოახსენეს, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი რესპუბლიკაში მეფრინველეობის განვითარების შესახებ, გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ბანუშვაძემ.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივ სექტორში კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება და დამზადება. 1970 წელს წარმოებული იყო 159,5 მილიონი კვერცხი და 4.700 ტონა ფრინველის ხორცი. 1964 წელთან შედარებით ფრინველის რიცხვი 1.600 ათასით გაიზარდა, ხოლო კვერცხის წარმოება — 37 მილიონი ცალით.

მეცხრე ხუთწლედში დასახულია მეფრინველეობის აღმავლობის დიდი ამოცანები. 1975 წელს წარმოებულ იქნება 418 მილიონი კვერცხი და 20 ათასი ტონა ფრინველის ხორცი. წარმოების ასეთი დონის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მეფრინველეობის ახალი ობიექტების გაფართოება საექსპლოატაციოდ. ხუთწლედის მანძილზე ამუშავდება მეფრინველეობის 21 სახელმწიფო ფაბრიკა, 3 მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა, 26 საკოლმეურნეობათაშორისო და 55 საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფაბრიკა და მეფრინველეობის ფერმა. ახლა უკვე შენდება კოდის, გორის, ნორიოს, საგარეჯოს, გამარჯვების, წყალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკები, მცხეთის რეპროდუქტორი და 11 საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, ფართოდდება გომის, თბილისის, გარეხის და ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკები.

მოიყვანა რა ეს მონაცემები მეფრინველეობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ ამ. შ. ი. ბანუშვაძე შემდეგ ვრცლად შეეხო ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მეფრინველეობის ფაბრიკებისა და მეფრინველეობის ფერმების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეში, ილაპარაკა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

კამათში მონაწილეობდნენ საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე პ. მაღრაძე, ხაშურის რაიონის გომის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ნ. ლომსაძე, თეთრი წყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ბ. ჯულუხაძე, გორის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ვ. რთველიაშვილი, ნორიოს მეინდაურეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დ. ჯანჯღავა, გარდაბნის რაიონის გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ვ. დიასამიძე, წყალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ვ. ნუმსიწვერიძე, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ლ. ბერაძე, „საქფრინველმრეწვის“ მმართველი პ. კოპეზრიძე, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ზაუტაშვილი, „მთავარკლმეურნეობის“ მმართველი ვ. ბელაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი პ. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი მ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო ხაგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ბიბიბერია, „საქსოფლპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ვ. ნადირაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. ვ. პ. მეჟაბნაძემ. იმისათვის, რომ შეავსრულოთ დიდი ამოცანები მეფრინველეობის შემდგომი აღმავლობის დარგში, თქვა მან, მთელი ძალღონე უნდა მოვუხმაროთ მეფრინველეობის მშენებარე და ხარეკონსტრუქციო სახელმწიფო, საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო ფაბრიკებისა და მეფრინველეობის ფერმების დადგენილ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემას, მშენებლობის ხარისხის მაქსიმალურად გაუმჯობესებას, მეფრინველეობის ობიექტების დროულად უზრუნველყოფას ტექნიკით და მოწყობილობით.

მეფრინველეობის განვითარების დასახული გეგმების შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეურნეობები უზრუნველყოთ საკმაო რაოდენობის სრულფასოვანი კომბინირებული საკვებით. ამ მხრივ ბევრი რამ დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის კომბინირებული საკვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის კოლექტივის მეცადინეობაზე, იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და დიდი მასშტაბით დაინერგება წარმოებაში სამეცნიერო კვლევის შედეგები.

რესპუბლიკის მეფრინველეობაში ჭიშთსანაშენო მუშაობის გაუმჯობესების. ფრინველის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების საქმეში სერიოზული პრობლემები დგას საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის წინაშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მეცხოველეობის აღმავლობა. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფრინველეობის განვითარებას. პარტიის რაიკომებმა და რაიონულმა აღმასკომებმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, შესაბამისმა ტრესტებმა პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად ქმედითი კონტროლი უნდა გაუწიონ მეფრინველეობის ობიექტების მშენებლობას, უზრუნველყონ კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოებისა და დამზადების მეცხრე ხუთწლედის დავალებათა განუხრელად შესრულება. (საქდესი).

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲚ

30 ივლისს ბუქარესტიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. **კოსიგინის** მეთაურობით, დელეგაცია მონაწილეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიის მუშაობაში. (საქდესი).

• • •

30 ივლისს კაიროდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. **პონომარიოვის** მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში იყო 1971 წლის 20-30 ივლისს არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით, და მონაწილეობდა არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის მუშაობაში, შეხვედრები და საუბრები ჰქონდა არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტში.

ეგვიპტის მხრივ შეხვედრებში მონაწილეობდნენ არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები ახმად სადკი, აბდელ სალამ ზაიათი, ფათჰალა პატიბი და სხვები.

მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ეს შეხვედრები და საუბრები ასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა სოციალისტური კავშირის მისწრაფებას განავითაროონ პარტიული კონტაქტები და ურთიერთობა, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ XXIV ყრილობისა და არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებებში. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნულმა კონგრესმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დიდ მადლობას უხდის მხურვალე ძმური მილოცვებისათვის, რომლებიც მათ გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ამხანაგ ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

ბედნიერი ვართ დაგარწმუნოთ, ნათქვამია წერილში, რომ ვაფასებთ საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას და გეზმას ეს მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა უკვდავმა ბელადმა, 23 ივლისის სახელოვანი რევოლუციის ხელმძღვანელმა პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა. ჩვენი მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმე განაგრძო მისმა თანამებრძოლმა პრეზიდენტმა ანვარ სადათმა.

ბრძოლამ, რომელსაც ჩვენი ხალხი აწარმოებდა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ თავიანი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და დიდებული ცხოვრების მშენებლობისათვის, დაამტკიცა, ხაზგასმით აღინიშნეს ნერილში, რომ საბჭოთა ხალხი კეთილშობილი, სამეგობრო და ერთგული მეგობარია, რომელიც ამ ბრძოლაში ჩვენს მხარეზე იყო და დახმარება და მხარდაჭერა გაგვიწია ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში. საბჭოთა კავშირ-აეგიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებამ, დაგვიმტკიცა ჩვენი ერთობლივი მეკადონეობა, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მეგობრული ძმური ურთიერთობის განმტკიცება.

(საკდესი).



სურათზე: საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურში.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი საქართველოში მეფრინველეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხზე.

თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეფრინველეობის ფაბრიკების დირექტორები.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჟაბნაძემ.

მოახსენეს, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი რესპუბლიკაში მეფრინველეობის განვითარების შესახებ, გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ბანუშვაძემ.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივ სექტორში კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება და დამზადება. 1970 წელს წარმოებული იყო 159,5 მილიონი კვერცხი და 4.700 ტონა ფრინველის ხორცი. 1964 წელთან შედარებით ფრინველის რიცხვი 1.600 ათასით გაიზარდა, ხოლო კვერცხის წარმოება — 37 მილიონი ცალით.

მეცხრე ხუთწლედში დასახულია მეფრინველეობის აღმავლობის დიდი ამოცანები. 1975 წელს წარმოებულ იქნება 418 მილიონი კვერცხი და 20 ათასი ტონა ფრინველის ხორცი. ამ. ბ. ჯიბლაძე, ნუალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ვ. ნუმსიწვერიძე, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ლ. ბერაძე, „საქფრინველმრეწვის“ მმართველი პ. კოპეზრიძე, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ზაუტაშვილი, „მთავარკლმეურნეობის“ მმართველი ვ. ბელაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი პ. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი მ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო ხაგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ბიბიბერია, „საქსოფლპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ვ. ნადირაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. ვ. პ. მეჟაბნაძემ. იმისათვის, რომ შეავსრულოთ დიდი ამოცანები მეფრინველეობის შემდგომი აღმავლობის დარგში, თქვა მან, მთელი ძალღონე უნდა მოვუხმაროთ მეფრინველეობის მშენებარე და ხარეკონსტრუქციო სახელმწიფო, საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო ფაბრიკებისა და მეფრინველეობის ფერმების დადგენილ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემას, მშენებლობის ხარისხის მაქსიმალურად გაუმჯობესებას, მეფრინველეობის ობიექტების დროულად უზრუნველყოფას ტექნიკით და მოწყობილობით.

მეფრინველეობის განვითარების დასახული გეგმების შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეურნეობები უზრუნველყოთ საკმაო

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

საბჭომ მოისმინა კოლმეურნეობების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრის დ. ბანწკაპაშა მოხსენება კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების პროექტის შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ჰ. ქლინტი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მამაიაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი შ. გაბედავა, ამბროლაურის რაიონის სოფელ ამბროლაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ბეწკაძე, ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ს. ბირდზიანი.

საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს დებულება.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. რთველიაშვილმა გააკეთა მოხსენება „რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიწების გამოყენებისა და საკარმიდამო მიწათსარგებლობის ნორმების დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის „კოლმეურნეობის თავმჯდომარე; სოციალისტური შრომის გმირი მ. ორაბმელიძე, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ღვინჯილია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ტოტრიეში, ჭარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ბერდზენიშვილი, ნინოწმინდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ძარღვაძე, ბორჩალოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ბაბაური, სამტრედიის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ძარღვაძე, ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ბერიძე, ბაღდათის რაიონის სოფელ ზრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაბმელიძე (თავმჯდომარის მოადგილე), მასარაძის რაიონის სოფელ ზრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაბმელიძე (თავმჯდომარის მოადგილე), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი დ. ბანწკაპაშა (პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი), აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ღვინჯილია, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ანანიძე, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ბმბაური, ვანის რაიონის სოფელ მუქედის კოლმეურნეობის აგრონომი ბ. ოჩიკაძე, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ულმანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. დარბინიანი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ტოტრიეში და გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. ძაძამია.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკურმა საბჭომ შექმნა 8 სექცია, კოლმეურნეობის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის სექცია (ხელმძღვანელი ა. ანანიძე), წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სექცია (ხელმძღვანელი ბ. ტოტრიეში), შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სექცია (ხელმძღვანელი ძ. ბრიგალაშვილი), საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სექცია (ხელმძღვანელი ი. ბესტავრიშვილი), მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სექცია (ხელმძღვანელი ა. ღვინჯილია), საკოლმეურნეობათაშორისო ურთიერთობის, დამხმარე საწარმოთა და სარეწთა სექცია (ხელმძღვანელი ა. ჟიჩაკაშვილი), კოლმეურნეობებში დაპროექტებისა და მშენებლობის სექცია (ხელმძღვანელი ვ. ბელაშვილი) და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ საკითხთა სექცია (ხელმძღვანელი ძ. მახარაძე).

დამტკიცდა საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის 1971 წლის გეგმა.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. პანუსვაძემ. (საქდესი).

შეჯიბრეგაში გამარჯვებული რკინიგზელები

ახალი ხუთწლედის პირველი წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ამიერკავკასიის მაგისტრალის სატრანსპორტო საწარმოთა და მშენებლობათა მთელმა რიგმა კოლექტივებმა გაიმარჯვეს 1971 წლის მეორე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მეორე კვარტალში სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტის კოლექტივი. მას მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განაყოფილებისა და რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივებმა მოიპოვეს მეორე ფულადი პრემიები.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის, ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციისა და სამტრედიის სადგურის კოლექტივები. მათ მიენიჭათ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მესამე ფულადი პრემიები. (საქდესი).

სუდანის ამბების გამო

საკადესის ცნობა

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი წრეები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სუდანის ამბებს. ისინი ყოველ ღონეს იღებდნენ და იღებენ, რათა შეწყდეს მასობრივი სისხლისმღვრელი ტერორი ამ ქვეყნის პროგრესული, ეროვნულ-დემოკრატიული ძალების, მათ შორის სუდანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისა და წევრების · წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 25 ივლისს სუდანის სახელმწიფოს მეთაურს გენერალ დ. ნიმეირის გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც მოუწოდა არ გამოიტანათ სასტიკი განაჩენი სუდანის საზოგადო მოღვაწეებისათვის, რომლებსაც სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებს.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა, რომლებიც სერიოზულ შეშფოთებას იჩენენ მძვინვარე ტერორის ფონზე, 26 ივლისს ხართუმში სსრ კავშირის ელჩის საშუალებით გენერალ დ. ნიმეირის გადასცეს განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს სუდანის საშინაო საქმეებში ჩარევას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება მისი საგარეო პოლიტიკის პრინციპებს. მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა ხელმძღვანელებმა ყურადღება მიაქციეს სუდანის ხელისუფალთა ზოგიერთ მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს კარგ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და სუდანის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ამასთან მნიშვნელობაშია არამეგობრული აქციები სუდანში მყოფი საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ, ხართუმში მომუშავე საბჭოთა მუშაკების ქონებისათვის მიყენებული ზარალი, მუქარა და ძალადობის აქტები მათ მიმართ.

საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების წინააღმდეგ ასეთი პროვოკაციული ბრძოლა ამ ფაქტებში, ეს ეჭვს ბადებს. ეს ეჭვი, ალბათ, ეფუძნება ის ფაქტი, რომ ეს ბრძოლა ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ეროვნული თავისუფლებისა და კანონიერი უფლებებისათვის. ასეთი შეფასება მოცემულია, მაგალითად, კაიროში ახლახან დამთავრებული არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის მონაწილეთა გამოსვლებში და აისახა მის დოკუმენტებში.

მაგრამ საბჭოთა ხალხი გულგრილი ვერ იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა ბედისადმი. ამ მხრივ არავითარი ილუზია არ უნდა იყოს. ამიტომ მეტად უცნაურად ეღერს სუდანის ზოგიერთი მოღვაწის სიტყვები: კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიები სუდანისა და საბჭოთა კავშირის მჭიდრო ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენსო.

საყურადღებოა ისიც, რომ უპასუხოდ დარჩა საბჭოთა ხელმძღვანელობის მრავალი მოწოდება სუდანის ხელისუფლებისადმი არ განხორციელებინათ ეფექტიანი ღონისძიებანი — არ გამოეტანათ სასტიკი განაჩენები იმ პირებისათვის, რომლებიც ბრალდებულნი არიან „19 ივლისის“ ამბებთან დაკავშირებით. ასეთივე იყო ხართუმის რეაქცია სხვა სოციალისტური ქვეყნების, ევროპისა და არაბთა კომუნისტური პარტიების, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, გაერთიანებულ საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნაზეც. მუუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულთა დასაცავად გამოვიდნენ არაბი ხალხის მეგობარი ქვეყნების თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, სუდანის ხელისუფლებმა დასაჯეს სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ბდელ ჰალიკა მაჰჯუბი, შაფიი ამედ აშ-შეიხი“ და სხვა თვალსაჩინო სუდანელი პატრიოტები და კომუნისტები. მსოფლიო პრესა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთი სისასტიკე ძირეულად ეწინააღმდეგება სუდანის 1969 წლის მაისის რევოლუციის პრინციპებს.

მსოფლიო რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის ისტორია, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება უდავოდ მოწმობენ, რომ რაგინდ სასტიკი რეპრესიებისა და დევნისათვის უნდა მიემართათ რევოლუციონერების, მეცნიერული სოციალიზმის, დემოკრატების, მთელი პროგრესული ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ ხალხის ინტერესებს, მშრომელი კლასების ინტერესებს, ვერავინ ვერასდროს ვერ შეძლო და ვერც შეძლებს მოსპოს ეს მოძრაობანი და მათი შთამაგონებელი დიადი რევოლუციური იდეები.

თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მოძრაობა ყოველთვის იმარჯვებს, ყოველთვის იკაფავს გზას ფეოდალების, მეფეების, ბურჟუაზიის, უცხოელი კოლონიზატორებისა და მათი დამქაშების ტერორის მიუხედავად.

საბჭოთა ადამიანები ღრმა სიმპათიებს იჩენენ არაბი ხალხების, მათ შორის სუდანელი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლისადმი, უფრთხილდებიან საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას, მაგრამ ისინი, გადაჭრით გმობენ მასობრივ ტერორს სუდანში. საბჭოთა საზოგადოებრიობა ხმას იმაღლებს თვითნებობის მსხვერპლთა დასაცავად და გამოთქვამს იმედს, რომ სუდანში აღდგება ეროვნულ-რევოლუციური პრინციპები, რომლებიც შეესაბამებიან სუდანელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ერთიანობის ინტერესებსა და მის მისწრაფებას სოციალური პროგრესისაკენ.

მიმომახილველი.

(„პრავდა“, 30-VII 71. წ.).

სისხლისმღვრელი თარეში სუდანში

ტელეგრაფს მოაქვს ახალ-ახალი ცნობები სუდანში აღგირახსნილი თარეშის, პატრიოტების მასობრივი დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ. ფაქტიურად ქვეყანაში დამყარდა უსასტიკესი ტერორი ქვეყნის პროგრესული ძალების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა კომუნისტების წინააღმდეგ. იდღიდენ ტერორისტულ აქციებში ჩათრიონ ქვეყნის მთელი მოსახლეობა. მაგალითად, რადგითი გადასცეს მამართვა მეცხოვრებლებისადმი ეძახენ კომუნისტები და რადაც უნდა დაუჯდეთ მიიყვანონ ისინი პოლიციის უახლოეს უბანსა თუ სამხედრო ნაწილში, რაც სინამდვილეში აგდილზეგე ანგარიშის გასწორების ნაქაზენის ნიშნავს. დაპატიმრებულთა რიცხვმა უკვე გადააჭარბა 1.000 კაცს და ბევრ რაიონში ჯერ-ჯერობით ჩხრეკა რეპრესიის ახალ მსხვერპლთა ძებნისათვის. შეუსვენებლად მუშაობს ექვსი სამხედრო ტრიბუნალი, რომლებიც არჩევენ ნაჩქარევად წაყენებულ ბრალდებებს და აღუკვეთენ მართლმსაჯულების ელემენტარულ ნორმებს. ბრალდებულთ არა აქვთ არავითარი შესაძლებლობა გაასაჩივრონ ტრიბუნალის გადაწყვეტილება, და სასიკვდილო განაჩენები დაუყოვნებლივ მოაყვთ სისრულეში მას შემდეგ, რაც დამტკიცებს გენერალი ნიმეირი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სუდანში დაადგნენ სუდანის კომუნისტური პარტიის სრული ლიკვიდაციის, მისი ხელმძღვანელი მოღვაწეების, აქტივისტებისა და რიგითი კომუნისტების ფიზიკური მოსპობის კურსს.

ეჭვი არ არის, რომ კომპარტიისათვის ჩაცემული ლახვარი ძირს უთხრის სუდანის მთელ დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას. კარგად არის ცნობილი, რომ სუდანის კომუნისტური პარტიის ისტორია, რომელიც უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს, — ეს არის სუდანში უცხოეთის ბატონობის, რეაქციული რეჟიმების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორია.

1964 წლის ოქტომბერში სუდანელი კომუნისტები აბუდას დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქვეყნის მთელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ, პატრიოტულ ძალებთან. ისინი ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ფეოდალური რეაქციისა და იმპერიალისტური აგენტურის ხელყოფისაგან გაბედულად იცავდნენ მაშინ დაწყებულ ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციას. ამით მათ მოიპოვეს ავტორიტეტი სუდანელ მშრომელთა უფართოეს ფენებში. შემთხვევითი როდი იყო, რომ სუდანის მუშათა პროფკავშირის ფედერაციის მდივნად აირჩიეს სუდანის კომპარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე შაფიი ამედ აშ-შეიხი. კომუნისტები სხვა ეროვნულ-დემოკრატიულ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მასობრივ ორგანიზაციებში — ქალთა, ახალგაზრდულ, პროფესიულ ორგანიზაციებში.

1969 წლის მაისში სუდანში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების შემდეგ სუდანის კომუნისტურმა პარტიამ მტკიცედ დაუჭირა მხარი ქვეყანაში პროგრესული პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმების იმ ფართო პროგრამას, რომელიც ნიმეირის მთავრობამ გამოაცხადა. მაშინ „ანსარის“ სექტის გარშემო დაჯგუფებულმა შინაურმა რეაქციამ სცადა ლახვარი ჩაეცა ხალხის დემოკრატიული მონაპოვრებისათვის და მოეხდინა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება, კომპარტიამ არა თუ მხარი დაუჭირა ახალი ხელისუფლების მოქმედებას, არამედ თვითონაც უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო მასების მობილიზაციაში რეაქციის მოსაგერიებლად.

ისტორია დამაჯერებლად მოწმობს, რომ სუდანის კომუნისტური პარტია მუდამ მოუწოდებდა პატრიოტულ და დემოკრატიულ ძალებს ერთად ებრძოლათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სუდანის, სხვა არაბული და აფრიკული ქვეყნების განვითარებისათვის სოციალური პროგრესული გარდაქმნების გზით, მათი სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის. იგი სწორად აფასებდა ამბებსა და მოვლენებს საერთაშორისო ასპარეზზე და არაბულ სამყაროში, მუდამ სათავეში ედგა სუდანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სოციალურ ბრძოლას.

როგორც ფაქტები მოწმობენ, იმპერიალისტურმა აგენტურამ ამ ბოლო სანს გააძლიერა ძირგამომთხრელი საქმიანობა არაბულ აღმოსავლეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვისათვის, თანაც პროვოკაციებსა და შანტაჟს მიმართავენ ამ მოძრაობის ყველაზე აქტიური რეოლების წინააღმდეგ. საქმე ეხება იმ ცდას, რომ ძირი გამოუთხარონ არაბი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტს, დაასუსტონ ისინი, რათა წინააღმდეგობა ვერ გაუწიონ გარეშე მომდინარე საფრთხეს, ისრაელის აგრესიას, რომელიც ახლაც გრძელდება. სწორედ ამიტომ რეპრესიებს კომუნისტთა წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა იწონებენ დასავლეთის იმპერიალისტური ფრენები. საკვირველი რადია, რომ იქ აპყენენ სუდანელი და ზოგიერთი სხვა არაბი ანტიკომუნისტის ამსურდულ ლოზუნგს, რომელიც ჟღადაგებს, „კომუნისტები არაბი ერის მტრები არიანო“. ამ პროვოკაციული ლოზუნგის მიღმა ნათლად ჩანს მისწრაფება ანტიკომუნისტური რეპრესიები გადაატანონ სუდანის ფარგლებს გარეთ.

მაგრამ ისინი ამასაც არ სჯერდებიან. იმპერიალისტურ წრეებს, რომლებსაც ხშირად არაბთა მეგობრებად მოაქვთ თავი, აშკარად სურთ ანტიკომუნისტურ ისტერიას, რომელსაც სუდანის ხელისუფლები აჩაღებენ, ანტისაბჭოური მიმართულება მიანიჭონ. ისინი იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამტკიცებენ, სუდანში იმ შეიქმნელებს დევნიან და ხოცავენ, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აგზელიანებდა და აქეზებდაო, ეგრეთ წოდებულ „19 ივლისის მოძრაობას“ მოსკოვი წარმართავდაო. ასეთი ცრუ და ცილისწმენდური არგუმენტებით ცდილობენ ისინი, ერთი მხრივ, გაამართლონ სასტიკი რეპრესიები, ხოლო მეორე მხრივ, გაადვილონ ანტისოვეტიზმი იმპერიალიზმისა და რეაქციის საამებლად.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რითაა ეს გამოწვეული. საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა, რომელიც გაიზარდა და განმტკიცდა უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, გახდა საერთაშორისო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი აფუძიებს არაბ ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური განვითარების პროგრესული კურსისათვის, აძლიერებს მათ პოზიციებს იმპერიალისტური მანტაჟისა და გარეშედ მოსალოდნელი საფრთხის პირობებში

საბჭოთა კავშირი, და ეს კარგად არის ცნობილი ყველა არაბი ერისათვის, ზუსტად იცავს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას. პროგრესული არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელებს არაერთხელ მიუცია მაღალი შეფასება საბჭოთა კავშირის უანგარო და მტკიცე მხარდაჭერისათვის, რომელსაც იგი უწევს არაბთა განმათავისუფლებელ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და კანონიერი უფლებებისათვის. ასეთი შეფასება მოცემულია, მაგალითად, კაიროში ახლახან დამთავრებული არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის მონაწილეთა გამოსვლებში და აისახა მის დოკუმენტებში.

მაგრამ საბჭოთა ხალხი გულგრილი ვერ იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა ბედისადმი. ამ მხრივ არავითარი ილუზია არ უნდა იყოს. ამიტომ მეტად უცნაურად ეღერს სუდანის ზოგიერთი მოღვაწის სიტყვები: კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიები სუდანისა და საბჭოთა კავშირის მჭიდრო ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენსო.

საყურადღებოა ისიც, რომ უპასუხოდ დარჩა საბჭოთა ხელმძღვანელობის მრავალი მოწოდება სუდანის ხელისუფლებისადმი არ განხორციელებინათ ეფექტიანი ღონისძიებანი — არ გამოეტანათ სასტიკი განაჩენები იმ პირებისათვის, რომლებიც ბრალდებულნი არიან „19 ივლისის“ ამბებთან დაკავშირებით. ასეთივე იყო ხართუმის რეაქცია სხვა სოციალისტური ქვეყნების, ევროპისა და არაბთა კომუნისტური პარტიების, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, გაერთიანებული საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნაზეც. მუუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულთა დასაცავად გამოვიდნენ არაბი ხალხის მეგობარი ქვეყნების თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, სუდანის ხელისუფლებმა დასაჯეს სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ابدل ჰალიკა მაჰჯუბი, შაფიი ამედ აშ-შეიხი“ და სხვა თვალსაჩინო სუდანელი პატრიოტები და კომუნისტები. მსოფლიო პრესა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთი სისასტიკე ძირეულად ეწინააღმდეგება სუდანის 1969 წლის მაისის რევოლუციის პრინციპებს.

მსოფლიო რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის ისტორია, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება უდავოდ მოწმობენ, რომ რაგინდ სასტიკი რეპრესიებისა და დევნისათვის უნდა მიემართათ რევოლუციონერების, მეცნიერული სოციალიზმის, დემოკრატების, მთელი პროგრესული ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ ხალხის ინტერესებს, მშრომელი კლასების ინტერესებს, ვერავინ ვერასდროს ვერ შეძლო და ვერც შეძლებს მოსპოს ეს მოძრაობანი და მათი შთამაგონებელი დიადი რევოლუციური იდეები.

თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მოძრაობა ყოველთვის იმარჯვებს, ყოველთვის იკაფავს გზას ფეოდალების, მეფეების, ბურჟუაზიის, უცხოელი კოლონიზატორებისა და მათი დამქაშების ტერორის მიუხედავად.

საბჭოთა ადამიანები ღრმა სიმპათიებს იჩენენ არაბი ხალხების, მათ შორის სუდანელი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლისადმი, უფრთხილდებიან საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას, მაგრამ ისინი, გადაჭრით გმობენ მასობრივ ტერორს სუდანში. საბჭოთა საზოგადოებრიობა ხმას იმაღლებს თვითნებობის მსხვერპლთა დასაცავად და გამოთქვამს იმედს, რომ სუდანში აღდგება ეროვნულ-რევოლუციური პრინციპები, რომლებიც შეესაბამებიან სუდანელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ერთიანობის ინტერესებსა და მის მისწრაფებას სოციალური პროგრესისაკენ.

მიმომახილველი.

(„პრავდა“, 30-VII 71. წ.).

გაუგეს ერთმანეთს

მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიები, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები პროტესტს აცხადებენ სისხლისმღვრელი ტერორის წინააღმდეგ, რომელიც მძვინვარებს სუდანში, სადაც ეპატიმრებენ და სიკვდილით სჯიან კომუნისტებსა და პატრიოტებს, ჩინეთის პრესა მჭევრმეტყველურად სდუმს.

პრესა დასჯერდა სინხუას ხაგენტოს მიერ ამას წინათ გავრცელებული ცნობის პუბლიკაციას, რომელშიც ქმაყოფილებით იყო აღნიშნული, რომ სუდანის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს „პუტჩისტთა ხროვა“ და, რომ „სუდანის მთავრობამ ნიმეირას მეთაურობით კვლავ თავის კონტროლს დაუქვემდებარა მდგომარეობა ამ ქვეყანაში“.

როგორც ომდურმანის რადიო იუწყება, გენერალმა ნიმეირიმ თავის მხრივ წერილი გაუგზავნა მაო ძედუნს, რომელშიც გამოთქვა რწმენა, რომ „შესანიშნავი ურთიერთობა, რომელიც ორი ქვეყნის მთავრობებს აკავშირებს, კვლავაც განმტკიცდება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შედეგად“.

(საკადესი, 30 ივლისი).

ტრიპოლი — თათგირი დამთავრდა

31 ივლისი. (საკადესი). აქ დამთავრდა ხუთი არაბული სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის არაბთა რესპუბლიკის, იემენის არაბთა რესპუბლიკის, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის მეთაურთა თათბირი.

თათბირმა განიხილა ირთდანიის მდგომარეობა პალესტინელ პარტიზანთა წინააღმდეგ ირთდანიის ჯარების შეტევითის მოქმედებასთან დაკავშირებით.

თათბირის მონაწილეებმა შექმნეს კომიტეტი ერთობლივი კომუნიკეს შესამუშავებლად.

ბელგრადი — ახალი მთავრობა

31 ივლისი. (საკადესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სკუპშინის ეროვნებათა ვეჩემ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვეჩემ დაამტკიცეს ქვეყნის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს (მთავრობის) თავმჯდომარეა დ. ბიედიჩი, თავმჯდომარის მოადგილე — ი. სიროტკოვიჩი, სგგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი — მ. ტეპავაცი, სახალხო თავდაცვის საქმეთა საკავშირო მდივანი — ნ. ლუბიჩიჩი.

ვაშინგტონი — გონივრული მოთხოვნა

31 ივლისი. (საკადესი). სულ უფრო მეტი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე მოითხოვს, რომ ხელი აიღონ კუბის მიმართ ამერიკის მთავრობის გაკეთებულ პოლიტიკაზე, რომლის მიზანია ამ მშვენიერი კვეყნის იზოლაცია.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ერთხმად მოიწონა რეზოლუცია, რომელიც პრეზიდენტს მოუწოდებს განახორციელოს ღონისძიებანი „ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის“.

კომისიამ აგრეთვე ხმა მისცა, რომ გაგუქმონ 1962 წლის ყბადაღებული რეზოლუცია, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს გამოიყენოს ამერიკის შეიარაღებული ძალები კუნძულის ბლოკადისათვის.

რეზოლუცია მოუწოდებს მთავრობას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში მხარი დაუჭიროს წინადადებას, რომ გადასინჯონ რეზოლუციები, რომლებიც კუბას ეხება. ეს რეზოლუციები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების შეგავლენით მიიღეს, მიზნად ისახავდნენ კუბის იზოლაციას ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან.

სამხრეთი ვიეტნამი. აგრესორები უსწორდებიან ხალხს.

ფოტო ჟურნალ „ლუკიდან“

ნიუ-იორკი — „კოლონ-15“ მთვარეზე დაჯდა

31 ივლისი. (საკადესი). დღეს 01 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით „აპოლონ-15“ კოსმოსური ხომალდის მთვარის კაბინა დაეშვა მთვარის აპენინების რაიონში.

მთვარის კაბინაში არიან კოსმონავტები დევიდ სკოტი და ჯეიმს ირვინი. კოსმონავტი ალფრედ უორდენი დარჩა ხომალდის ძირითად ბლოკში მთვარისირგვლივ ორბიტაზე.

სკოტი და ირვინი მთვარეზე თითქმის სამ დღე-ღამეს დარჩებიან. ამ დროის მანძილზე ისინი საჭერ უნდა გამოვიდნენ მთვარის კაბინიდან 6-7 საათით და მთვარეზე გადაადგილებისათვის გამოიყენონ ორადგილიანი მთვარემავალი.

ბონი — „დაიკარგა“ საშიში მასალა

31 ივლისი. (საკადესი). **დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ რაინველსტფალიის მხარეში „დაიკარგა“ რამდენიმე ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენები, რომლებიც დარიშხანას შეიცავენ.**

„ფერენიგტე ცინკეერკეს“ კომპანიამ ერთ-ერთ სატრანსპორტო ფირმას დაუდო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ფირმას გარკვეულ ადგილას უნდა მიეტანა და მიწაში ჩაეფლო თუთიის წარმოების რამდენიმე ათასი ტონა ნარჩენები, რომლებიც ათ პროცენტ დარიშხანს შეიცავს. მაგრამ ფირმამ ხელშეკრულება დაარღვია და ტვირთი მიეტანა სულ სხვა ადგილას, რომლის „დადგენა ახლა ძნელია“.

დღემდე იპოვეს მხოლოდ 500 ტონა შხამიანი ნარჩენები, რომლებიც აღმოაჩინეს ქალაქ იულიხის მახლობლად სანაგვეზე, ოიაციის ქვეშ. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ეს ნარჩენები იმდენად საშიშია, რომ ყოველი ცოცხალი არსება დაიღუპება თუ შეისუნთქავს მათ შხამიან ანორთქლს. გარდა ამისა, წვიმის შედეგად დარიშხანა შეიიღება ნიადაგში ჩავიდეს და მოწამლოს გრუნტის წყლები.

ფაქტები

ტოკიო — უდიდესი კატასტროფა

31 ივლისი. (საკადესი). **გუშინ იაპონიის რეაქტიულმა ავიაკომპანიამ დგურებელი დაეჯახა „ბოინგ-727“ სამგზავრო თვითმფრინავს, რომელიც იაპონიის ავიაკომპანიას ეკუთვნოდა.**

ეს თვითმფრინავი საპოროდან ტოკიოში მიფრინავდა. კატასტროფა მოხდა ქალაქ მორიოკის რაიონში, დაახლოებით 8000 მეტრ სიმაღლეზე.

„ბოინგ-727“ თვითმფრინავში მყოფი 155 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი დაიღუპნენ. სამხედრო თვითმფრინავის ეკიპაჟის ორი წევრი პარაშუტით გადმოხტა და გადარჩა.

როგორც საინფორმაციო საგენტოები აღნიშნავენ, ეს უდიდესი კატასტროფაა სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში.

□

212 მგზავრი — საფრთხეში

ნიუ-იორკი. 31 ივლისი (საკადესი). გიგანტური ლაინერი „ბოინგ-747“, რომელიც სან-ფრანცისკოდან ტოკიოში მიფრინავდა, ასაფრენ ბილიკზე გარბენის დროს თვლებით გამოედო მიწისზედა სანავიგაციო ნათურებს, რის შედეგად გატყდა შასი.

212 კაცი — მგზავრები და ეკიპაჟის წევრები საფრთხეში აღმოჩნდნენ. თვითმფრინავი თავს დასტრიალებდა აეროპორტს, ხოლო დედამიწაზე მისი დაშვების სავარაუდო ადგილისაკენ მიეშურებოდნენ სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები. ეკიპაჟმა სათბობი ჩაუშვა წყნარ ოკეანეში და აფრენის მომენტიდან ორმა საათის შემდეგ მოახერხა თვითმფრინავის დაშვება დედამიწაზე.

მაგრამ ოცდახუთი მგზავრი მაინც საკაცეებით გამოიტანეს. ისინი დაშავდნენ აფრენის დროს, როცა თვითმფრინავი დაეჯახა სანავიგაციო ნათურებს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ასამუშავებელი სამშენებლო ობიექტების წარმატებით და დროულად დამთავრებისათვის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. **ჯიაშვილი** გერცელ მოსესძე — საქართველოს სამხატვრო ფონდის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის მხატვარ-არქიტექტორი.
2. **ბალავაძე** მიხეილ ლეონტის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საბინაო-სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
3. **ბოკუჩავა** ივანე მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის „ქიმმრეწმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხუროო.
4. **ბულია** ანდრია ოთარის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი.
5. **ბურჭიშვილი** ინგა ალექსის ასული — საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელი.
6. **ვეფორჭიანი** აშოტ ავეტისის-ძე — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნნარემშენის“ ტრესტის თბილისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
7. **გელაშვილი** სიმონ ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საბინაო-სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.
8. **გოგოლაძე** გიორგი დავითის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის „სპეცმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი.
9. **გოგოლიშვილი** რობერტ გრიგოლის-ძე — საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა სექციის ფერმწერი მხატვარი.
10. **დურგლიშვილი** მერაბ გიორგის-ძე — „ცეკავშირის“ სარეკლამო და მხატვრული გაფორმების სამუშაოთა კომბინატის დირექტორი.
11. **ვიბლიანი** გიორგი ბესარიონის-ძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინჟმშენის“ ტრესტის საგზაო მშენებლობის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.
12. **ზარანდია** გიორგი იასონის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველის მოადგილე.
13. **ზურაბიშვილი** გიორგი ანტონის-ძე — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერ-კონსტრუქტორი.
14. **თავდიდიშვილი** დანიელ სამუელის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის უფროსი ელექტრომონტიორი.
15. **თორთლაძე** შოთა ერმილეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საწარმოო-ტექნიკური დაყმაწვილებების სამმართველოს უფროსი.
16. **თოფურია** შოთა დიმიტრის-ძე — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის რუსთავის სპეციალური სამონტაჟო სამმართველოს უბნის უფროსი.
17. **ისაკაძე** შალვა გიორგის-ძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის ტრესტის მმართველი.
18. **კეცხოველი** სეგერიან ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქმრეწვგაფორმების“ საწარმოო კომბინატის მთავარი მხატვარი.
19. **კიტია** ნოშრევან ვალერიანის-ძე — საქართველოს სამხატვრო ფონდის დირექტორი.
20. **კოროლიოვი** კირილე მიტროფანეს-ძე — „სპეანტექმონტაჟის“ ტრესტის ზეინკალთა ბრიგადირი.
21. **კოლუაშვილი** მიხეილ ვასილის-ძე თბილისის კინო-სარემონტო სახელოსნოს ინჟინერი.
22. **ლომიძე** მეგლუდ ნიკოლოზის-ძე — რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის გაზმჭრელი.
23. **მაკასარაშვილი** ედიშერ ბესარიონის-ძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის ტრესტის გამწვანების ჯგუფის უფროსი.
24. **მეზურნიშვილი** უშანგი გეორგის-ძე — თბილისის სპეციალური სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.
25. **მესროპოვი** სურენ ივანეს-ძე — № 10 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.
26. **მამალაძე** ლეონიდე სარდიონის-ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი მხატვარი.
27. **მოლიავკო** სერგი პროკოფის-ძე — „სამხრეთფოლადკონსტრუქციის“ რუსთავის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.
28. **მუჯედიძე** ოსეფ დავითის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საბინაო-სამშენებლო სამმართველოს ხუროო.
29. **ნაზარაოვი** ივანე ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საბინაო სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟე.
30. **ნასარიძე** ვლადიმერ დავითის-ძე — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი არქიტექტორი.
31. **ნოსკოვი** ალექსი გრიგოლის-ძე — № 10 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს მეგზავნელი.
32. **პანფინი** ლეონიდე ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საბინაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
33. **პაპუნაშვილი** ტარიელ გიორგის-ძე — № 10 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს ოსტატი.
34. **პაპუნიდი** ლეონიდე იაკობის-ძე — № 10 ტრესტის № 7 სამ

მეჯი მგზავრი, ჯვირთი, სიჩქარე

გ. ქადაგიძე,

ამერიკავკასიის რკინიგზის უფროსი

◆

რკინიგზელის საკავშირო დღე! მიმდინარე წელს ფოლადის მაგისტრალების მუშაკები მას აღნიშნავენ არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა ხორცს ისხამს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. ახალ ხუთწლედში ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 32-35 პროცენტით უნდა გაიზარდოს. პარტიის სიტყვა კანონია ამერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის შრომელებისათვის, რომლებიც გაისად ჩვენი რკინიგზის 100 წლისთავს აღნიშნავენ. ახორციელებდნენ რა პარტიის ამოცანებს, ჩვენი მაგისტრალის რკინიგზელებმა არაერთი დიდი წარმატება მოიპოვეს როგორც პირველ ხუთწლედების დროსაც. ჯერ კიდევ 1932 წელს ელექტრიფიცირებულ იქნა სურამის გადასასვლელის ძალიან რთული პროფილის მონაკვეთი. მას შემდეგ არც ერთი დღითაც არ შეწყვეტილა ელექტრიფიკაციის სამუშაოები. და აი შედეგიც: ამჟამად ამერკავკასიის რკინიგზა მთლიანად ელექტრიფიცირებულია და მისი ტვირთბრუნვა ყველაზე პროგრესული წვრთ ძალით — ელმავლებით ხორციელდება.

მაგრამ რკინიგზელები მარტო მატარებლების წევის ძალის ელექტრიფიცირებას როდი დასჯერდნენ, მათ შეადგინეს პროგრამა, რომ მთლიანად ელექტროფიცირებული გახადონ რკინიგზის მეურნეობის ყველა დარგი. უკანასკნელ ხანს მთლიანად აღმოფხვრა სამატარებლებო შეთანხმების ძველი მეთოდები და ისინი ავტომატური და ნახევრად ავტომატური ბლოკირებით შეიცვალა, მოქმედებს ავტომატური დისპეტჩერული ცენტრალიზაცია. ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა ერთი დისპეტჩერი მართვის პულტიდან წარმატებით ხელმძღვანელობს მატარებლების ინტენსიურ მოძრაობას მრავალკილომეტრიან მონაკვეთზე.

მაგრამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, ეკონომიური კავშირურთიერთობის გაფართოება რკინიგზელთა წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს რკინიგზის გამტარუნარიანობა და გაფართოვდეს ტვირთზიდვა, შემჭიდროვდეს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ვადები.

ამ საქმეში მთავარ როლს შეასრულებს მეორე ლიანდაგების მშენებლობა. მთიან პირობებში ეს მეტად რთული ამოცანაა, მაგრამ მშენებლები სიძნელეებს როდი უშინდებიან. უკვე დაგებულია მეორე მაგისტრალი თბილისი-რუსთავის უბანზე. მომავალ წელს სამუშაოები დამთავრდება სურამის უღელტეხილის უბანზეც, ხოლო 1975 წლამდე მეორე ლიანდაგი დაგებული იქნება თბილისი-ზესტაფონის უბნის ყველა გადასარბენზე.

ჩვენი რკინიგზელები მსხვილ ორგტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად წარმოების სამსახურში აყენებენ სხვა რეზერვებსაც, ნერგავენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, სატრანსპორტო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალმხრივმა ღონისძიებებმა ჩვენი რკინიგზელების მუშაობას დიდი სიკეთე მოუტანა. გასული წელი მაღალი მაჩვენებლებით დამთავრდა. ისეთი მიღწევები, როგორიც შარშან და წელს გვაქვს, ჩვენს კოლექტივებს ჯერ არ ჰქონიათ. გასული ხუთწლედის მანძილზე გადაზიდვათა მოცულობა გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად 26 პროცენტით გადიდდა. საგრძნობლად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანაც. შრომის ნაყოფიერება 26 პროცენტით ამაღლდა, დაგალება კი მხოლოდ 22,5 პროცენტს ითვალისწინებდა.

კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები გვაქვს მიმდინარე წელს. ექვს თვეში დატვირთვის გეგმა შესრულებულია 104,3 პროცენტით, შარშანდელთან შედარებით ყოველ დღე იტვირთებოდა 4.500 ტონით მეტი სახალხო სამეურნეო ტვირთი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზა მუშაობდა ვაგონების შედარებით მცირე პარკით, ეს განსხვავება დღეღამეში საშუალოდ დაახლოებით 1000 ერთეულს შეადგენდა. მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია ვაგონების ბრუნვის დაჩქარებით, ვაგონბრუნვა ნორმასთან შედარებით 3 საათით დაჩქარდა, შემცირდა ვაგონების მოცდენები ტექნიკურ და სატვირთო სადგურებში, სატვირთო მატარებლების მოძრაობის საუბნო სიჩქარე 6 პროცენტით მეტია, ვიდრე გასულ წელს. ექვსი თვის განმავლობაში გეგმის ზევით მიღებულია 600 ათასი მანეთი მოგება.

ახლახან სასიხარულო ცნობა მივიღეთ მოსკოვიდან. ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივი მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

როცა რკინიგზელთა ამ მიღწევებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის ადამიანები, ვინც არ უშინდება სიძნელეს და დღეღაღამ დგას დამკვრელურ ვახტზე. ესენი არიან სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე ნ. ყუბანეიშვილი, სადგურ ნავოლეული-II-ის სამანევრო დისპეტჩერი შ. მაზმიშვილი, თბილისის სატვირთო სადგურის მატარებლების შემდგენელი, მ. მირზახანოვი, რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელი მოიპოვა; ელექტრონერგიის ეკონომიისათვის გაშლილ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ჩვენმა კოლექტივმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

რკინიგზის ზესტაფონის დისტანციის ბრიგადირი ვ. კუბლაშვილი, სადგურ ფოთის მოწინავე მუშაკი შ. ხონელიძე, ხაშურის ენერგომომარაგების უბნის ელექტრომონტიორი, სოციალისტური შრომის ვმირი კ. ჩიტაძე და სხვ. მათი შრომითი გმირობა, თავდადება საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდა რკინიგზელებისათვის.

რკინიგზის კოლექტივის წინაშე დიდი პერსპექტივები დასახეს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებმა. ახალ ხუთწლედში გადასაჭრელი უპირველესი ამოცანაა თბილისი-ზესტაფონის უბანზე რკინიგზის მეორე ხაზის დაგების სამუშაოთა დროული ჯეროვანი. ეს მკვეთრად გაზრდის გზის გამტარუნარიანობას. ფართოდ განვითარდება სატვირთო მეურნეობა; გაძლიერდება და გაფართოვდება მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ბაზები. კვლავაც დიდ ყურადღებას დაუთმობთ სამგზავრო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და კეთილმოწყობას, აშენდება სადგურების ახალი შენობები, პირველ რიგში თბილისი-ნავლეული კვანძზე.

ახალ ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდება რკინიგზელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. მარტო წელს ბინების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების, სპორტული მოედნების მშენებლობისათვის სამ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. დიდი ყურადღება დაეთმობა სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას.

ახლახან გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ministrთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე და მეტროპოლიტენთან სამგზავრო ავტობუსებით ადგილობრივ ხაზებზე მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესებისა და ავტობუსებით ადგილობრივ ხაზებზე მგზავრთა ოდენობის გადიდებისა და საშუალოხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების მომატების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე კადრების შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებაში აგრეთვე სხვა დადგენილებებშიც, რომლებიც აგრეთვე ახლახან გამოქვეყნდა, კიდევ ერთხელ იგრძნობა ის მამობრივი ზრუნვა, რომელსაც პარტია და მთავრობა რკინიგზის ტრანსპორტისადმი, რკინიგზელთა შრომისადმი იჩენენ. ამ ზრუნვას ჩვენი მუშაკები სასახელო შრომით უპასუხებენ, ეძიებენ და ავლინებენ ახალ რეზერვებს, ნერგავენ ახალ ტექნიკას, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ მგზავრთა მომსახურებას.

მიმდინარე წლის განვლილი შვიდი თვე მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნეს ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეებმა. თვითეულმა მათგანმა 15-16 მძიმეწონიანი მატარებელი ჩაიყვანა დანიშნულებისამებრ და გეგმის გადამეტებით 60 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაიტანა.

სურათზე: მარცხნიდან — მემანქანე კ. კალანდაძე, დეპოს მორიგე ვ. ოსაძე, მემანქანეები ზ. ვეფხვაძე, ო. დიდებულიძე და ო. ტაბატაძე.

ფოტო ბ. ბოგუჩიასი.

1 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

ქართველ კინემატოგრაფისტთა სტუმარი

ქართველ კინემატოგრაფისტთა ფილმები პოპულარულია საფრანგეთში და დიდი წარმატებით სარგებლობენ, — თქვა საფრანგეთის ერთერთ კინოფილმის გენერალურმა დირექტორმა ბ. აიზენშტადინმა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. — საფრანგეთის ეკრანებზე განსაკუთრებული წარმატებით უჩვენებდნენ რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას“, რომლის ნახვითაც მიღებული შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ განელებულა, — თქვა ფრანგმა სტუმარმა.

ბ. აიზენშტადინი სამ დღეს იყო სტუმრად თბილისში. გაეცნო ქართველი კინემატოგრაფისტების ახალ ნამუშევრებს, დაათვალიერა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი პავილიონები დიღომში. ფრანგ სტუმარს უჩვენეს რეჟისორ მ. კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ჭორწყლი“ და „ქოლგა“. მან მაღალი შეფასება მისცა ქართველი რეჟისორის შემოქმედებას, აღნიშნა, რომ ეს ფილმები დიდად საინტერესოა.

ფრანგი სტუმარი მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში. კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე სტუმარს ესაუბრა ქართული კინოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის, მისი განვითარების, ახალი ფილმებისა და კინოს ოსტატთა შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

ბ. აიზენშტადინი ეწვია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყო მუზეუმში.

ზრუნვა და სიყვარული

გრიგოლ აბაშიძე

საბჭოთა კავშირის მწერალთა მე-5 ფორუმი შეიკრიბა **პარტიის** ოცდამეთხუთე ყრილობის შემდეგ სულ მალე და ამან განსაზღვრა მისი მუშაობის მიმართულება. პარტიის ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა ლიტერატურის საკითხებს, ღრმად და ყოველმხრივად იყო განხილული ლიტერატურის მდგომარეობა, მისი როლი და დანიშნულება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პარტიამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მწერლობას, მის დამსახურებას, ადამიანების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, დასახა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების ამოცანები.

მწერალთა კავშირის ყრილობაზე უპირველეს ყოვლისა იგრძნობოდა პარტიის ყრილობის კეთილნაყოფიერი გავლენის სული. ყრილობა პარტიასთან მწერლობის ერთიანობის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი მწერლობის ერთგულების ახალი მძლავრი დემონსტრაცია იყო.

მწერალთა ამ ყრილობაზე ხაზგასმით იყო ნაჩვენები მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობა. როგორც მოხსენებაში, ისე ცალკე გამოსვლებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა მიღწევებს, მათი განვითარების, ურთიერთკავშირისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემებს, თარგმნის საქმის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. დიდია საბჭოთა ლიტერატურის როლი საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში. პარტია და ხელისუფლება თარგმნის საქმეს პირველხარისხოვან როლს ანიჭებენ, რადგანაც სწორედ იმის გამო, რომ მთარგმნელობას ასე დიდი გასაქანი აქვს ჩვენში და იგი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად არის ქცეული, საბჭოთა ლიტერატურა გახდა ჩვენი ხალხების სულიერად ურთიერთგამდიდრების წყარო.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო მხატვრული ოსტატობის საკითხებს. საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდება იმ მაღალი იდეების წყალობით, რომლებსაც იგი ემსახურება. მაგრამ საუკეთესო საბჭოთა წიგნები თავიანთი მაღალმხატვრულობითაც ახდენენ გავლენას და ყრილობამ სწორედ ამაში დაინახა ჩვენი ლიტერატურის ავტორიტეტის გაფართოების შემდგომი საწინდარი. საბჭოთა მწერლობის წარმატებას სწორედ მისი ინტელექტუალური და მხატვრული დონის შედეგომი ამაღლება განსაზღვრავს. მხატვრული ოსტატობის ამაღლება იყო და რჩება მწერლის უპირველეს ამოცანად

ყრილობას ესწრებოდნენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის ლიტერატურის წარმომადგენლები. მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მათს გამოსვლებში ხაზგასმულად ჩანდა კეთილმეზობლობის ბრძოლა. სოციალისტური ქვეყნების ლიტერატორები ლაპარაკობდნენ საბჭოთა მწერლობის იმ დიდ როლზე, რომელსაც იგი ასრულებს ამ ლიტერატურათა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში. ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის იდეის პროპაგანდაში.

საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელმა ღრმა ჰუმანიზმისა და მაღალი მორალის ქადაგებამ, მისმა ბრძოლამ რასიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისადმი ერთგულებამ, საბჭოთა მწერლობას მოუპოვა მსოფლიოს ყველა ჩაგრული ხალხის სიმპათია და პატივისცემა.

საბჭოთა ლიტერატურა გარემოსილია ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და ზრუნვით. იგი ვალდებულია კიდევ მეტი შემოქმედებითი აქტივობით უპასუხოს ამ საყოველთაო-სახალხო ყურადღებასა და სიყვარულს.

ყრილობამ მთელი საბჭოთა მწერლობის სახელით ხიტყვა მისცა პარტიასა და ხალხს, რომ ჩვენი ლიტერატურა ყველაფერს გააკეთებს საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების უკვდავსაყოფად, ახალი დიდი და მნიშვნელოვანი ტილოების შესაქმნელად.

ᲛᲔᲡᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ? ᲠᲐ ᲨᲗᲐᲒᲔᲯᲓᲘᲚᲔᲒᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲔᲠ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ?

ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲗᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘ Ბ. ᲯᲦᲔᲜᲢᲘ, Ჯ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲝ

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲯᲦᲔᲜᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მწერალთა V ყრილობა, ისევე როგორც ჩვენი მწერლების ყველა სახის საკავშირო ყრილობა, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური ლიტერატურის განვითარებაში, არამედ საბჭოთა ხალხის მთელი სულიერი ცხოვრების ისტორიაში. კიდევ მეტიც. ის ცხოველი ინტერესი და გამოხმაურება, რომელიც ამ ყრილობამ ჰპოვა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, აშკარად მეტყველებს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ამ დიდი ფორუმის აქტუალური საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ. სოციალისტური თანამეგობრობის დიადი ბანაკი, დედამიწის ყოველი კონტინენტის მოწინავე და პროგრესული საზოგადოებრივი აზრი მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენს ყრილობას იმის გამო, რომ იგი წარმოადგენდა საბჭოთა მწერლობის იშვიათი ერთსულოვნების, კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხალხთან, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სინამდვილესთან განუყოფელი, სისტხორცეული ერთიანობის დიდებულ დემონსტრაციას და სწორედ ეს გარემოება — ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის ეს მსოფლმხედველობრივი ერთიანობა და იდეური დარაზმულობა, მისი ურყევი ერთგულება საბჭოთა ხალხის ნათელი საბრძოლო იდეალებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი აბრაზებს და ანერვიულებს საერთაშორისო იმპერიალიზმის რეაქციულ წრეებს, „ანტიკომუნიზმისა“ და „ანტისოვეტიზმის“ იდეოლოგებს. ჩვენი იდეური მტრები, მოწინააღმდეგეები კაპიტალისტურ სამყაროში დიდი ხანია ოცნებობენ კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთიანობის რაიმე შეტევებსა და შესუსტებაზე, მრავალეროვნული ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა თაობათა შორის რაიმე კონფლიქტებსა და კოლიზიების აღმოცენებაზე. ჩვენმა ყრილობამ დაუნდობლად გააქარწყლა მათი იმედები და მოლოდინი. საბჭოთა მწერლების V საკავშირო ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის სულისკვეთებით.

საბჭოთა ლიტერატურის მთელი სიცოცხლო შემოქმედებითი ძალების ასეთი მონოლითური ერთიანობა მკაფიოდ გამოხატა ყრილობის რეზოლუციაში, მის მიმართვაში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, მის განცხადებაში დღევანდელ საერთაშორისო ცხოვრების ისეთი მტკივნეული მოვლენების შესახებ, როგორიც არის ამერიკელი იმპერიალისტების მიერ იდოჩინეთში გაჩაღებული ბარბაროსული ომი და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი.

მე წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის მუშაობაში 1937 წელს. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა და პირადად ხელმძღვანელობდა სოციალისტური ლიტერატურის გენიალური ფუძემდებელი და უპირველესი კლასიკოსი მაქსიმ გორკი. იმ ყრილობამ პირველად დაანახვა მსოფლიოს, რომ ჩვენს სამშობლოში ანტაგონისტური კლასების მოსპობასთან ერთად ბოლო მოეღო საბჭოთა მწერლების დაქსაქსულობას სხვადასხვაგვარ დაჯგუფებებად, სკოლებად, განცალკევებულ და ურთიერთმოწინააღმდეგე გაერთიანებებად, რომ ამერიდან საბჭოთა ლიტერატურა განუყოფლად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის პოზიციებთან. მას შემდეგ ყველა ჩვენი მორიგი საკავშირო ლიტერატურული ფორუმი ამ ერთიანობისა და მონოლითურობის შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცების ნიშნით მიმდინარეობდა და სწორედ ამ პროცესის ყველაზე სრულ და მკაფიო მაგალითს ჩვენი მწერლების V ყრილობა წარმოადგენდა.

ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი კაპიტალისტური რეაქციის ბანაკიდან საბჭოთა ლიტერატურის ამ იდეურ ერთსულოვნებას, მის ერთგულებას სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდისადმი დემაგოგიურად განიხილავენ როგორც ერთფეროვნებისა და ერთსახეობის გაბატონებას ჩვენს მწერლობაში, მასში შემოქმედის ინდივიდუალურ მიდრეკილებათა, ნიჭიერების თავისებურებათა შეიფერფლვა და აღკვეთას. ისინი ივიწყებენ, ან განზრახ ცდილობენ მიჩქმალონ ის გარემოება, რომ ვ. ი. ლენინი, რომელიც მწერლობის საქმეს პარტიულ საქმის განუყოფელ ნაწილად აღიარებდა, ამავე დროს გვასწავლიდა, რომ მხატვრული შემოქმედება ვერ იომენს ვერავითარ ნიველირებასა და გათანაბრებას, ერთფეროვნებასა და ერთსახეობას, რომ მწერლობასა და ხელოვნებაში განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სრულიად თავისუფლება და მრავალფეროვნება აზრისა და ფანტაზიის, ფორმისა და შინაარსის სფეროში.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის, მსოფლიოს ყველა კონტინენტის ხალხთა წარმომადგენლები. არა მარტო სოციალიზმისა და დემოკრატიული ქვეყნების, არა მარტო აზიისა და აფრიკის ხალხთა მწერლები, არამედ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების, ამერიკისა და იაპონიის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ საბჭოთა ლიტერატურის კეთილმყოფელი ზეგავლენის ზრდას თანამედროვე მსოფლიო პროგრესული მწერლობის განვითარებაზე, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა დიდ ზემოქმედებას მსოფლიოს უბრალო ადამიანთა შეგნებაზე.

საერთაშორისო სარბიელზე ამჟამად გაჩაღებული მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და ბუნებრივია, რომ ჩვენმა ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ჩვენი მწერლების საერთაშორისო კონტაქტების საკითხებს.

ყრილობის ერთ-ერთი უპირველესი თავისებურება ისიც იყო, რომ მის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა ხალხების ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების, მათი შემდგომი ურთიერთდაახლოების, ურთიერთზეგავლენის და ურთიერთგამდიდრების გაფართოებისა და გაღრმავების საკითხებს. სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის ეროვნული მდივნის გ. მარკოვის საანგარიშო მოხსენება სწორედ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ეროვნული ლიტერატურების დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვით, მათი ინტერნაციონალური ერთიანობის პროცესების ანალიზით დაიწყო. გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის კონსტანტინ სიმონოვის გამოსვლაში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა სიტყვებში გადაიშალა წარმტაცი პანორამა საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების ნამდვილი აყვავებისა საბჭოთა ეპოქაში, რაც გულისხმობს და მოასწავებს კიდეც ამ ლიტერატურების შემოქმედებითის თანამეგობრობას, მათი ურთიერთკავშირის თანმიმდევრულ ზრდას.

ჩვენი უცხოელი ოპონენტები და „მბაფრ შეგრძნებათა“ და სენსაციების ზოგიერთი მოყვარულნი ჩვენს ლიტერატურულ წრეებშიც გვისაყვედურებდნენ, თითქოს ამ ყრილობაზე აგდილი არ ჰქონოდეს შემოქმედებითს დისკუსიას, ლიტერატურულ პოლემიკას, მხატვრული მწერლობის სპეციფიკურ პრობლემებს. ამ ყრილობამ ხაზგასმით დაადასტურა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ფუძემდებლური პრინციპების კეთილმყოფელი, გამანაყოფიერებელი ზემოქმედება მხატვრული მწერლობის ყოველი ჟანრის განვითარებაზე და ერთსულოვნად იქნა მხილებული და გაკიცხული ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატორის ნაწარმოებში გამოთქმული ყალბი და მცდარი თვალსაზრისი, თითქოს საბჭოთა ლიტერატურაში შესაძლებელი და სასურველი იყოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდისაგან დამოუკიდებლად და მის საპირისპიროდ სხვა მეთოდების — რომანტიზმის, ნატურალიზმის, კრიტიკული რეალიზმის არსებობა. ფართოდ და მრავალმხრივად იყო განხილული ყრილობაზე ჩვენი ლიტერატურის მხატვრული პროფესიული ოსტატობის, ფორმის სრულყოფილების საკითხები.

გამოჩენილმა ყირგიზმა მწერალმა ჩ. აიტმატოვმა, ცნობიერმა ბელორუსმა პოეტმა მაქსიმ ტანკმა და სხვებმა დამარწმუნებელად ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ხშირად ჩვენს ლიტერატურაში თემატურ აქტუალობას და სწორ იდეურ მიზანსწრაფვას ეფარება ხოლმე მდარე მხატვრული ოსტატობა, უფერულობა და ზოგჯერ აბკარა უნიჭობაც კი, რაც სახელს უტეხს აქტუალურ თემასაც და მაღალიდეური მისწრაფებებსაც. ყრილობაზე მოითხოვეს, რომ გაძლიერდეს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების და გამოცემლობათა ხელმძღვანელების ძასუხისმგებლობა პრესაში გამოქვეყნებული და მით უფრო ცალკე წიგნებად გამოცემული ხაწარმოებების მხატვრული ხარისხისათვის, ესთეტიკური ღირებულებისათვის, მრავალი რამ საყურადღებო და მართებული ითქვა ყრილობაზე მწერლის მოვალეობის შესახებ მშობლიური ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში, ენის დამახინჯვების, გაღარიბებისა და დაკხისების წინააღმდეგ ბრძოლაში, **მხატვრული** შაბლონის, ტრაფარეტისა და კლიშეებად ქცეული სახეების, უსიცოცხლო სქემების დაძლევისა და გადალახვის საქმეში. ყოველივე ეს, ცხადია, მწერლობის სპეციფიკურ შემოქმედებითი პრობლემების წრეს განეკუთვნება.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ყრილობაზე საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის საკითხებს. ყრილობამ ერთსულოვნად გაიზიარა, მრავალი კონკრეტული მაგალითით დაადასტურა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პარტიის XXIV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში გამოთქმული დებულება, რომ ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების წარმატებები ბევრად მეტი იქნებოდა, ხოლო მათი ხაკოლოვნებანი უფრო ადვილად დასაძლევი, რომ ეგები ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა ეს პარტიის ხაზს, პრინციპულად იბრძოდეს მწერლობის მაღალიდეურობისა და მხატვრული სრულყოფისათვის, ათავსებდეს ამ ბრძოლას ტაქტისა და ზომიერების გრძნობასთან, შემოქმედისადმი პატივისცემასა და კეთილმოსურნეობასთან, ლ. ნოვიჩენკო, მ. ოზეროვი, ნ. გრიბაჩოვი და სხვა ორატორები თავიანთ გამოსვლებში სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს, რომ ჩვენი კრიტიკა, ამ ეანრისი მომუშავე ნიჭიერ და ერუდირებულ ლიტერატორთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კადრი, ღირსეულად ვერ ასრულებს თავის მაღალ მოწოდებას, თანმიმდევრულად ვერ იბრძვის მწერლობაში ესთეტიკური კრიტერიუმებისა და მხატვრული მომთხოვნელობის დაქვეითების წინააღმდეგ, უფერულობისა, უგემოვნებობისა და უნიჭობის წინააღმდეგ. ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკის ასეთი მოდუნებისათვის, მისი ცალმხრივი „კომპლიმენტალური“ განვითარებისათვის გარდა კრიტიკოსებისა პასუხისმგებელი არიან ის მწერლები, რომლებიც შეეწყარნენ, მტრულად ეგებებიან კრიტიკას, მართებულ და სამართლიან შენიშვნებსაც კი, და დიდად აფერხებენ ობიექტური, პრინციპული კრიტიკული აზრის განვითარებას.

ყოველივე ეს, ცხადია, სავსებით დამახასიათებელია ქართული ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობისათვის. რამდენი ხანია ქართულ ლიტერატურულ პრესაში აღარ გამოქვეყნებულა მებრძოლი პრინციპული წერილი, რომელიც დასაბუთებულად იყოს მხილებული ნაწარმოების მხატვრული უმწეობა და უგარგისობა, ოსტატობის დაბალი დონე, უფერულობა და უგემოვნებობა. ნუთუ მართლა ჩვენში აღარაფერი იბეჭდება ისეთი, რომ „ეარყოფილის“ შეფასებას იმსახურებდეს? კრიტიკის მხრივ ასეთი განუკითხავობა კი ბადებს მწერალთა შორის ფუჭი თვითკმაყოფილების, თავმოწონებისა და ქედმაღლობის განწყობილებებს, რაც მხატვრული შემოქმედების უბერველესი მტერია. საქმე ხშირად იქამდე მიდის, რომ ფრიად საეჭვო ნიჭიერების პოეტები და პროზაიკოსები თვითონ გვიკარნახებენ, თუ რა ადგილას უნდა იქნან მოხსენებულნი და რაგვარად დახასიათებულნი ლიტერატურულ-კრიტიკულ მიმოხილვებში, და თუ კრიტიკოსმა გაბედა და ზუსტად არ გაიმეორა თავის თავზ

საქართველოს ქთა-ბარეთი

„ნაქალაქევის“ სიკეთე

ცხაკაია. (საკ. კორ.). უძველესი კოლხური ქალაქი არქეოპოლისი — დღევანდელი სოფელი ნაქალაქევი მარტო ისტორიული ძეგლებით როდი ამყრობს ყურადღებას. აქ დიდი ხანია მდინარე ტეხურის პირას გამოდის თბილი, მინერალური სამკურნალო წყალი, რომელიც კარგად შველის რევმატიზმით დაავადებულთა.

ძველი სამკურნალო წყაროდან ერთნახევარ კილომეტრზე ჭაბურღილიდან ამოხეთქა ცხელმა წყალმა. იგი შეიცავს კატიონებს, ანიონებს, აგრეთვე სილიციუმის ორჟანგს, ნახშირორჟანგსა და გოგირდწყალბადს. რამდენიმე წელია ეს წყალიც ჩადგა მშრომელთა სამსახურში — აქ შეიქმნება გულის სისხლძარღვთა დაავადებების, რევმატიზმის მკურნალობა.

ბოლო რეისი

თბილისის რკინიგზის ვაგზლის რადიოს დიქტორმა ჩვეულებრივად აუწყა დამხვედურთ მოსკოვი-თბილისის მატარებლის მეზობელი სადგურიდან გამოსვლა. უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ ცნობას დაამატა — „მატარებელი მოაყვეს პირველი კლასის მემანქანეს, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების, მედლებისა და წარჩინებული რკინიგზელის სამკერდე ნიშნების კავალერს გიორგი ხიზანიშვილს“...

ამ დღეს 60 წელი შეუსრულდა გიორგის. და აი მისი ბოლო რეისი სადგურ ხაშურიდან დაიწყო, სადაც მას გულითადი გაცილება მოუწყეს სალოკომოტივო დეპოს ძველი და ახალი თაობის მემანქანეებმა, მეგობრებმა, გორში კი პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს...

...მატარებელი ნელი სვლით შეშოსრიალდა პირველ ლიანდაგზე. ბაქანზე არიან თბილისის სადგურის ყველა დარგისა და სამსახურის რკინიგზელები. მატარებელი ტაშის გრიალში ჩერდება. ელმავლიდან გადმოდის ვალმოხდილი, ღიაწყლმოსილი ადამიანი. იმართება სახელდახელო მიტინგი. პერსონალურ პენსიაზე გასულ გ. ხიზანიშვილს დიდ ხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ბედნიერი სიბერე უსურვეს სალოკომოტივო სამსახურის უფროსმა ა. ჩარკვიანმა, სალოკომოტივო დეპოს უფროსმა ლ. კალანდაძემ, დეპოს უფროსის მოადგილემ ა. ბაშაკიძემ, კადრების განყოფილების უფროსმა პ. კოკოლევმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ჯოხონელიძემ, ადგილკომის თავმჯდომარემ გ. ლიკლიკაძემ, მემანქანე-ინსტრუქტორებმა პ. არეულიძემ, გ. ბერუაშვილმა, ნ. რურუამ, ს. სოლოგაშვილმა, ი. ხუციშვილ, ძველმა მეგობარმა ი. კუხალეიშვილმა... კვლავ ყვავილები, გულთბილი სიტყვები.. გ. ხიზანიშვილმა მხურვალე მადლობის სიტყვა თქვა მისი შრომის, ასეთი დიდი დაფასებისათვის.

ს. გოგოლაძე.

ხუთდღიანი ტურისტული...

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორი წელია ძეგობრობენ მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომთან არსებული ალპინისტურ-ტურისტული სექცია და ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის საშუალო სკოლის ალპინისტები. მათ არაერთი მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოაწყეს მშობლიური მხარის შესასწავლად.

ჭიათურელმა მაღაროელმა და ალავერდელმა მოსწავლე ალპინისტებმა ამ დღეებში მოაწყეს ხუთდღიანი ტურისტული ლაშქრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მაღაროელი ალპინისტი გ. სამხარაძე და ალავერდელი მასწავლებელი ს. ღიბრაძე. მათ იმოგზაურეს მარშრუტით: ჭიათურა-საწალიკის მთა-ნიკორწმინდა-ამბროლაურა-ონი-შოვი-ბუბის მთა-კვაისა-ერწოს ტბა-სინაგური სარეზერვო-ჭიათურა.

ტურისტები ესაუბრნენ ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეებს, რაჭისა და სამხრეთ ოსეთის მწყემსებს საზაფხულო საძოვრებზე, გადასცეს მათ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

პოპასოგით ქილა კონსერვი

ხაჩერე. (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სეზონს მზად შეხვდა ხაჩერის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც წელს უნდა გამოუშვას ხუთი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი და ათასი ტონა ხილ-კენკრის ღვინო.

ქარხნის კოლექტივმა უკვე დაიწყო სეზონი. გამოშვებულია ხუთწლედის პირველი წლის პროდუქცია — ათეულ ათასობით ქილა ალუბლის, ტყემლის, კიტრის კონსერვი, ხილის წვენები.

ცისფერი ეკრანი

რომ კაშკაშებდეს

თიანეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრს გალმა — ეებოტაში მოეწყო ახალი ტელესარეტრანსლაციო სადგური, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტიპის აპარატურით, სადგურმა დიდად გაუმჯობესა ტელეგადაცემების ხარისხი.

მალე აქ დამატებით დადგამენ უფრო ძლიერ აპარატურას, რომლის საშუალებითაც ტელეგადაცემებს მიიღებენ ივრისპირეთის ყველაზე დაშორებულ სოფლებში.

ბავშვები ჩვენს ირგვლივ

ფოტოკორესპონდენტ ბ. ლაფაურის ფოტოს ბავშვები ბაღიდან ბავშვებისათვის. დღეს გთავაზობთ მის ორ ფოტოსურათს — „მინდვრის ყვავილებში“ (მარცხნივ) და „მეც ფეხბურთელი გავხდები“.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ზაფხულის გოლო თვე

ივლისის შუა რიცხვებიდან მოყოლებული ჩვენს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში დიდი სიცხეებია. დადგა ზაფხულის უკანასკნელი თვე — აგვისტო. როგორი იქნება იგი?

მაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 22-26, მთიან რაიონებში 18-22 და მაღალმთიან რაიონებში 12-17 გრადუსი, რაც ნორმის ფარგლებში იქნება.

ნალექების თვიური ჯამი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ სანაპირო რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში იქნება ნორმის ფარგლებში, საქართველოს დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე ნაკლები.

ხანმოკლე წვიმები, ალაგ-ალაგ ელჭექით, მოსალოდნელია 1-7 აგვისტოს და თვის ბოლოს, დასავლეთ საქართველოში 19-22 აგვისტოს.

მაერის ყველაზე მაღალ ტემპერატურას, სიცხეს უნდა ველოდოთ მეოთხე ხუთდღეურში—ღამით მაღალმთიან რაიონებში 11-16, საქართველოს დანარჩენ რაიონებში — 19-24 გრადუსი, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში და ქართლის ვაკეში დღისით ტემპერატურა 34-39, ალაგ-ალაგ 40 გრადუსამდეც აიწევს. საქართველოს მაღალმთიან რაიონებში 27-32; დანარჩენ რაიონებში 31-36 გრადუსი. დღისით სანაპირო რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 22-27, საქართველოს დანარჩენ რაიონებში და დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 25-30, საქართველოს მაღალმთიან რაიონებში 19-24 გრადუსი.

ჟ. ᲗᲔᲚᲘᲫᲔ.
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

საგასტროლოდ ბულგარეთში

ტყიბული. (საკ. კორ.). კულტურის სასახლესთან არსებული მეშახტე ახალგაზრდობის ცეკვის ანსამბლი ბულგარეთში გაემგზავრა. მეშახტე მოცეკვავეები დიდ საპრეზიდენტო ქალაქებში გამართავენ კონცერტებს, ბულგარელ მაყურებელს უჩვენებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს.

ანსამბლის მონაწილეები წელს დიდი წარმატებით მართავდნენ კონცერტებს რუსეთის ფედერაციის ქალაქებში. მათ საგასტროლო მოგზაურობის განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და წყალტუბოს რაიონებში.

ᲛᲝᲕᲣᲡᲛᲘᲜᲝᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ

გაამოთ სიარული!

იცით რა არის ტერენქური?

ᲣᲧᲚᲘᲡ შუა რიცხვებიდან მოყოლებული ჩვენს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში დიდი სიცხეებია. დადგა ზაფხულის უკანასკნელი თვე — აგვისტო. როგორი იქნება იგი?

მაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 22-26, მთიან რაიონებში 18-22 და მაღალმთიან რაიონებში 12-17 გრადუსი, რაც ნორმის ფარგლებში იქნება.

ნალექების თვიური ჯამი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ სანაპირო რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში იქნება ნორმის ფარგლებში, საქართველოს დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე ნაკლები.

ხანმოკლე წვიმები, ალაგ-ალაგ ელჭექით, მოსალოდნელია 1-7 აგვისტოს და თვის ბოლოს, დასავლეთ საქართველოში 19-22 აგვისტოს.

მაერის ყველაზე მაღალ ტემპერატურას, სიცხეს უნდა ველოდოთ მეოთხე ხუთდღეურში—ღამით მაღალმთიან რაიონებში 11-16, საქართველოს დანარჩენ რაიონებში — 19-24 გრადუსი, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში და ქართლის ვაკეში დღისით ტემპერატურა 34-39, ალაგ-ალაგ 40 გრადუსამდეც აიწევს. საქართველოს მაღალმთიან რაიონებში 27-32; დანარჩენ რაიონებში 31-36 გრადუსი. დღისით სანაპირო რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 22-27, საქართველოს დანარჩენ რაიონებში და დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 25-30, საქართველოს მაღალმთიან რაიონებში 19-24 გრადუსი.

ჟ. ᲗᲔᲚᲘᲫᲔ.
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲣᲠᲘ ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ახალი დიდი საკონდიტრო ფაბრიკა, რომელიც ერთი წლის წინათ ამშენდა, ახლა 70 დასახელების ნაწარმს უშვებს. ამ უკანასკნელად აქ გამოუშვეს ახალი სახის ნამცხვრები „სასკოლო“ და „ბაჭოს კურაბიე“, დრაჟეები — „ინდური ნიგოზი“ და „თხილი მოკოლადში“, აღმოსავლური ტკბილეული „შექერ-ლუქუმი“, რბილი კამფეტი „სასკოლო“ და ბევრი სხვა ტკბილეული.

ქუთაისელ კონდიტერთა ნახელავი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგზავნება და ყველგან მოწონებით სარგებლობს. ამიტომაც არის, რომ ფაბრიკას წელს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. საწარმოს კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 19 ტონა ზეგეგემითი საკონდიტერო ნაწარმი გამოუშვა, გადაჭარბებით შესრულა რეგორც სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის დავალება.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

4 აგვისტოს სტარტს აიღებს ევროპის ჩემპიონატი ჩოგბურთში. გუშინ მოსკოვიდან ლუსენმბურგს, სადაც ეს ასპარეზობა ეწყობა, გაემგზავრა საბჭოთა ჩოგბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი, მოსკოველი ოლღა მოროზოვა, გოგონთა შორის უმამლდონის ტურნირის გამარჯვებული ალმაატელი მარინე კროშინა და სხვა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები.

რამდენიმე სტრიქონით

● **ინგლისის** ქალაქ იორკში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ქალთა შორის სამი დღის ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი ე. გაკჩენკო, რომელსაც 1810 ქულა აქვს. მას 34 ქულით ჩამორჩება პოლონელი მარია მონჩინსკა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქალები 27 ქულას აგებენ პოლონელებთან. ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი ლენინგრადელი მ. პეუნოვი ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზეა. ლიდერია ამერიკელი ჯონ უილიამსი. გუნდურ ჩათვლაშიც წინ არიან ამერიკელი მშვილდოსნები, საბჭოთა სპორტსმენებს მეოთხე ადგილი უჭირავთ.

● **ორიოლის** ცაში სპორტული დავა აქვთ პლანერისტებს. სსრ კავშირის ჩემპიონი 200-კილომეტრიან სამკუთხედზე გასდა ყაზახეთის წარმომადგენელი ლ. კუზნეცოვი, ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. კლუევამ (ლატვია). ორი ვარჯიშის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არიან ესტონელი პლანერისტები.

— რეკს, შპარგალკა იკოვნე...

გამოცდები სუფლიორთა ფაკულტეტზე.

ნახ. ა. ᲗᲠᲐᲫᲘᲡ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● **ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ** სახელგანთქმული საკლუბო გუნდი „სანტოსი“ საურთაშორისო მატჩებს მართავს სამშობლოს გარეთ. კანადის ქალაქ ვანკუვერში იგი შეხვდა დასავლეთგერმანულ გუნდს „ჰანოვერს“. მატჩი მოიგეს ბრაზილელებმა 3:1 (1:1). პელემ „თავისი ბურთი“ ამჯერად ბენალტით გაიტანა.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** ჰაბუკთა ნაკრები ბულგარეთში მეორეჯერ ასპარეზობდა სოფიის თანატოლთა გუნდთან. მოსკოველებმა ეს ამხანაგური შეხვედრა წააგეს დიდი ანგარიშით 2:5. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს 1:0.

● **„ᲘᲛᲘᲯᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ“** გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ვიამართა ქალაქ ეისკში. ჩვენი რესპუბლიკის მოზარდა ფეხბურთელებმა (მწვრთნელები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თ. კუბლაშვილი) დაამარცხეს უზბეკეთის ნაკრები — 2:0, ყირგიზეთის გუნდი — 4:1, თურქმენეთისა — 6:2 და უკანასკნელ მატჩში შეხვდნენ რსფსრ-ის კოლექტივს. ამ ასპარეზობის წაგების — 1:2 — მიუხედავად ისინი ითამაშებენ ფინალში, რომელიც ნოემბერში გაიმართება. საუკეთესო სპორტსმენებისათვის დაწესებულ ჟილდოთაგან სპეციალური პრიზი გადაეცა ჩვენს მეკარეს ზ. კახიძეს.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ „ᲐᲪᲢᲔᲙᲖᲔ“

მექსიკის ქალაქებში — გვადალახარასა და მეხიკოში უდიდესი ფეხბურთის სტადიონების მსაზურნი ახლა ფეხბურთელთა კარს ღებავენ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ტუჩის პომადისფრად — მკრთალ ვარდისფრად. 15 აგვისტოს ამ ქალაქებში დაიწყება ფეხბურთელ ქალთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირში, რომელიც 5 სექტემბრამდე გასტანს, მონაწილეობას მიიღებს ევროპის ოთხი და ლათინური ამერიკის ორი გუნდი. ევროპის გუნდებმა გამართეს წინასწარი შეხვედრები, რათა საუკეთესონი გამოვლენილნიყვნ (დანიის ფეხბურთელი ქალები უკონკურსოდ მონაწილეობენ ფინალში, როგორც შამპიონები). მექსიკაში ჩავლენ აგრეთვე ინგლისელი, იტალიელი და ფრანგი ფეხბურთელი ქალები.

წლევანდელი ტურნირი „შავე დროს თავისებური მოდების ფესტივალი და პარიკმახერების კონკურსიც იქნება. გუნდების გასახდელებში სპეციალური პარიკმახერები და გრიმიორები. მატჩების შემდეგ ფეხბურთელ ქალებს შოამზადებენ პრეს-კონფერენციებისათვის.

ბევრმა „მოდელის სახლმა“ გადაწყვიტა გამოეყენებინა ჩემპიონატი: სპარფიუმერიო ფირმების რეკლამასთან ერთად სტადიონებს დაამშვენებენ სპეციალური ვიტრინები, სადაც გამოფენილი იქნება ყველაზე მოდური თასმენ-ბის ნიმუშები. მოდელიორებმა შექმნეს ფეხბურთელ ქალთა მაისურების სპეციალური მოდელები.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადამწყვეტი შეხვედრებისთვის დაიქირავეს „ხალისკოსი“ და „აცტეკის“ სტადიონები. ისევე, როგორც ვინ ფეხბურთელთა ჩემპიონატებზე იყო სპეციალური სიმბოლოები „ლომის ბოკერი ვილი“ და „ხუანიტო“, ფეხბურთელ ქალთა პირველობისათვისაც გამოგონილ სიმბოლო: ეს არის „ბაგვერმანი ხუჭუჭთმიანი, გოგონა, რომელსაც ხელში ფეხბურთის ბურთი უჭირავს.

დიდ სარეკლამო აურაზურთან ერთად სპორტული მომზადებაც მიმდინარეობს. მაგალითად, ჩემპიონატის მასპინძლები უკვე ორ თვეა ვარჯიშობენ და რეპორტიორთა აზრით, ეაქებენთ თამაშობენ.

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები განიხილავენ მსაჯების საკითხს. ახლა საქმეთ ბევრ ქალს აქვს ფეხბურთის არბიტრის ავტორიტეტი. მოიწვევენ თუ არა მათ მსაჯებად, თუ რამდენიმეს იმსაჯებენ? (საკ. კორ.).

რედაქტორი
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲘᲡ“ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). უძველესი კოლხური ქალაქი არქეოპოლისი — დღევანდელი სოფელი ნაქალაქევი მარტო ისტორიული ძეგლებით როდი ამყრობს ყურადღებას. აქ დიდი ხანია მდინარე ტეხურის პირას გამოდის თბილი, მინერალური სამკურნალო წყალი, რომელიც კარგად შველის რევმატიზმით დაავადებულთა.

ძველი სამკურნალო წყაროდან ერთნახევარ კილომეტრზე ჭაბურღილიდან ამოხეთქა ცხელმა წყალმა. იგი შეიცავს კატიონებს, ანიონებს, აგრეთვე სილიციუმის ორჟანგს, ნახშირორჟანგსა და გოგირდწყალბადს. რამდენიმე წელია ეს წყალიც ჩადგა მშრომელთა სამსახურში — აქ შეიქმნება გულის სისხლძარღვთა დაავადებების, რევმატიზმის მკურნალობა.

ᲖᲝᲒᲘ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲡᲐᲙᲛᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲩᲐᲜᲡ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲧᲠᲐᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲔᲑᲐ.

დავით გურამიშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚ რვასართულიან სახლში სამოთახიანი ბინა მივიღეთ და გადავბარგდით. ასევე მოიქცნენ ის ოჯახები, რომელთაც ორდერები ჰქონდათ...

პირველად კარის მეზობლები გავიცანი, დროდადრო სხვა სადარბაზოების მცხოვრებლებიც...

ჩვენი სახლის მკვიდრნი სასარგებლო ადამიანები აღმოჩნდნენ...

ერთ საღამოს ეზოს სკვერში ვიჯექი და შევყურებდი ჩვენი მრავალსართულიანი სახლის ელექტრობით გაკაშკაშებულ ოთახებს, შუშაბანდებს...

მეორე სადარბაზოდან გამოვიდა ხერაფონი, მომიახლოვდა, მომესალმა, გვერდით მომიჯდა, თამბაქოს მოუკიდა, გულიანად შეისუნთქა, გაიბოლა და რაღაცის სათქმელად მოემზადა.

— ხედავთ რა მოხდა? — მოგვიანებით, კისერწაგრძელებულმა მითხრა, — საკვირველია, საოცარი!

— რაშია საქმე, ბატონო ხერაფონ?

— ჩემმა კარის მეზობელმა ამოლონქმა — სამ სულზე ოროთახიანი ბინა რომ იგდო ხელში, არავის უთქვამს?

— მერე!

— ჩვენ კი ოთხნი ვართ ოროთახიანში.

— ბინები აფთიაქის სასწორით როდი იწონება — ზოგი მეტი იქნება, ზოგი ნაკლები. მეზობლები ხართ, ამაზე ლაპარაკი არცღირს!

— გასაგებია, მეზობელზე ლექსიც გამოუთქვამს ხალხს:

ავ მეზობელს ვინაცვალე
კარჩი რაღა იქნებაო.

მაგრამ იცოდე, ამოლონს კაკო რომ ჰყავს, ღვიძლი შვილი არ ყოფილა.

— რაო?

— ამბობენ ნაშვილებაო.

— ნამდვილად იცი?

— რასაკვირველია!

— მერე რა გალაპარაკებს, შეკაი კაცო!

— რა ვიცოდი, თუ გეწყინებოდათ! — ნიშნის მოგებით კისერი წაიგრძელა...

ჩემთვის ნათელი გახდა ხერაფიონის პიროვნება, მაგრამ თავი შევიკავე, აღარაფერი ვუთხარი.

ხერაფონი წავიდა და ცოლმა სადარბაზოდან ავთანდილი გამოჩნდა. იგი მომიახლოვდა და მაშინვე შემეკითხა:

— რაო ხერაფონმა?

— არაფერი, ისე ვსაუბრობდით!

— როგორ, თავის კარის მეზობელზე არაფერი უთქვამს?

— არაფერი!

— ისე გაუხმა მაგას თავი, როგორც პირზე არაფერი დაადგეს.

ჩვენს სახლში ოჯახი არ არის დარჩენილი, რომ არ ჩაეტიკჭიკებინა, და დავიჯერო — თქვენ დაგიმალათ?

— მაინც რა უნდა ეთქვა?

— ჯანდაბა მაგის თავსა და ტანს. აპოლონმა ორი ოთახი რატომ მიიღო. გაბოროტებულმა რა აღარ იკადრა — კაკო ნაშვილები ჰყავთო. ახლა ყველას გვეშინია ბავშვს არ გაეგებინოს...

დავრწმუნდი, რომ მრავალრიცხოვან მეზობლებს შორის ყველაზე საშიში ადამიანი ხერაფიონი გახლდათ.

განვლო საკმაო ხანმა, და ერთხელ, როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი, ეზოში რამდენიმე კაცსა და ქალს მოეყარა თავი. საწყენი ამბავი შევიტყვე. აპოლონის კაკო გუშინდელს აქეთ სკოლიდან შინ აღარ დაბრუნებულაო.

— რა ვიღონო, აღარ ვიცი, მეშინია არაფერი აიტეხოს ბიჭმა, — შემომჩივალა კეთილმა აპოლონმა და თვალები ცრემლებით დაენამა.

...უნახავი და უკითხავი არაფერი დავტოვეთ — თხუთმეტი დღე დავეძებდით, მაგრამ ამაოდ, ვერსად ვერ მივაგენით...

მოსვენება დავკარგეთ. ათას რამეს ვფიქრობთ...

ყოველივე ამის შემდეგ რა ვუწოდოთ შურით აღვსილ, სულით მახინჯ ხერაფონს, რომელმაც შელახა მეზობლის ოჯახის მყუდროება, სითბო, სიყვარული, გზაკვალი აუბნია და შეიძლება იმსხვერპლა კიდეც არასრულწლოვანი ბიჭუნა, მშობლებს, საკუთარ კერას რომ მოსწყვიტა!

ხერაფიონი და მისი მსგავსი ადამიანები უმკაცრესი პასუხისმგებლობით უნდა წარსდგნენ საზოგადოებრიობის წინაშე.

გ. ᲞᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲩᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ რაიონის სოფელ გორგში მცხოვრებმა ო. ჩიხლაძემ ზარზეიმით აღნიშნა შვილის დაბადების დღე. ვახშამზე სხვებთან ერთად წულუკიძის სამშენებლო-სარემონტო უბნის თანამშრომელი ა. თვალოძე ცოლ-შვილით მიიპატიჟა. ამორანმა გორდში გადაყვანა ამავე უბნის მძღოლს. თამაზ ბაბუნაშვილს სთხოვა. თამაზი ამა მეგობარს უარს როგორ ეტყოდა, და ვითომც საკუთარიაო, უფროსების უკითხავად გაუყენა მთის გზას სატვირთო ავტომობილი.

ვახშამი გათენებამდე გაგრძელდა. თუმცა მძღოლი თ. ბაბუნაშვილი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, თანამესუფრეებისაგან არავის მოსვლია აზრად მისთვის ღვინის სმა დაეშალა. პირიქით, ვაქციცობას და უძილოდ ასე გაძლებას უქებდნენ.

მთელ ღამეს ნაბახუსევი და უძინარი მძღოლი დილით წულუკიძისაკენ გამოემართა. ა. თვალოძე ცოლ-შვილით კაბინაში ჩასხა, მერე ხალტურის მოყვარულმა მძღოლმა წულუკიძეში მიმავალი ოცდაათამდე მგზავრი აკრიფა და ძარაზე დასხა. მთის ვიწროები მშვიდობით გამოიარეს. აი კიდეც დაივაკეს, სოფელ მათხოჯში ფართო მოასფალტებულ გზაზე გამოვიდნენ. თითქოს ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. მაგრამ ღვინომ და უძილობამ თავისი გაიტანა. მძღოლს ჩაეძინა, მანქანა ტელეფონის ბოძს დაეჯახა. მოტეხილი ბოძი ძარაზე მდგომ მგზავრებს დაეცა. ორი მათგანი ა. ჩიხლაძე და ლ. გელენიძე იქვე, მანქანაში გარდაიცვალა, ხოლო ოთხი მგზავრი დაშავდა.

შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲔᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲖᲔ...

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ

1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „რკინიგზელის საკავშირო დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „უცხოელი ქალის“, 13.00 — ბავშვებისათვის — „ბაბაკითეთ ჩვენთან ერთად, ბავშვებითა და უფროსებად“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია, დოკუმენტური ფილმი „მოდიან, მოდიან მატარებლები“, 14.45 — კონცერტი, 15.30 — „კინოფიმა“, 15.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია, მხატვრული ფილმი „ბალეტის დიდება“, 17.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა ჯლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 19.10 — კინონარკვევი, 19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.35 — საატელევიზიო ფილმი — „დრამა სადალაქოში“, 19.55 — გადაცემა ციკლიდან „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“, 20.15 — კონცერტი, მიძღვნილი რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „დრო“ საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — „ფორსაიტების საგა“. ინგლისური საატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი (პრემიერა) XX სერია, 23.20 — საესტრადო-გასართობი პროგრამა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

19.00 — დოკუმენტური ფილმი „ტაიგის წელიწადის დრონი“, 19.45 — კონცერტი — „ბალეტის საღამო“, 20.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ბურთი, ხელთათმანი და კაპიტანი“.

2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის — „ციროდენას ეკრანი“, 18.40 — ზანცხადებები, 18.45 — „პროპაგანდისტის ტრიბუნა“ — პოლიტიკური განათლება მასზეს, 19.00 — „ახალი დროის ჯუნნისდიდები“, 19.15 — სპორტული მიმოხილვა, 19.35 — „კანონი და კანონიერება“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ცსკა — „დინამო“ (თბილისი). გადმოცემა მოსკოვიდან, 22.15 — დრო — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 „ფორსაიტების საგა“. ინგლისური საატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი (პრემიერა) XXI სერია.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

19.00 — კინოპროგრამა, 19.30 — მხატვრული ფილმი — „სიჭაბუკის ნაპირი“, 20.50 — მუსიკალური პროგრამა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲐᲛᲘᲜᲝᲗ

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99 72 80, სამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებისა: პარტიული — 99 87 61 პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99 82 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18 20 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55-01, ინფორმაციის — 93-16 90, უცხოეთის — 99 60 21, წერილების — 99 73 24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04770

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი 8, ლენინის ქ. 14.